საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION
NEWS ივლისი - სექტემბერი 2018
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ოზურგეთში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს

4 ივლისი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ ხელმძღვანელობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა, სადაც მერეკრძელა-კაპროვანის მასივის დამშრობი სისტემის მაგისტრალური არხების, სისტემასთან არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების და სატუმბი სადგურის აღდგენა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სამუშაოები, რომელიც დამშრობი სისტემის მაგისტრალური არხის 4 კილომეტრიან წყალგამყვან მონაკვეთს უტარდება, ჭარბწყლიანობისგან დაიცავს სოფელ ნატანების 640 ჰექტარ მიწის ფართობს. პროექტი ასევე ითვალისწინებს მერეკრძელა-კაპროვანის სატუმბი სადგურის აღდგენა-რეკონსტრუქციას და სადგურის ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფას.

რეაბილიტირდება მერეკრძელა-კაპროვანის მასივის დამშრობი სისტემის ჰიდროტექნიკური ნაგებობები და კეთილმოეწყობა ტერიტორია.

პროექტს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს. სამუშაოები ეტაპობრივად მიმდინარეობს და წლის ბოლოს დასრულდება.

0114, საქართველო, თბილისი, გია გულუას ქ.№6 საინფორმაციო სამსახური: 2 001000 ელ-ფოსტა: info@ag.ge WWW.AG.GE

მსოფლიო ბანკის მისიამ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა დაათვალიერა

10 ივლისი

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია დასრულდა. გაკეთდა მარჯვენა მაგისტრალური არხის 24 -კილომეტრიანი მონაკვეთის ტრაპეციული კვეთის ტორკრეტირება. რემონტი ჩაუტარდა სხვადასხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობას.

განხორციელებული პროექტის შედეგად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 9500 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდა სარწყავი წყლის მიწოდება.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა და მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურმა დირექტორმა, აღდგენილი საირიგაციო სისტემა დაათვალიერეს და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდნენ. ასევე იმყოფებოდნენ იმ ფართობებზე, რომლებიც რეაბილიტირებული სისტემიდან ირწყვება, მათ შორის 1300 ჰექტარზე გაშენებული ნუშის პლანტაციაში, სადაც წვეთური მორწყვის სისტემებია მოწყობილი.

სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მსოფლიო ბანკის დაფინანსებით "ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების" პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

კახეთში "ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების" პროექტის ხელმძღვანელი, მსოფლიო ბანკის ადგილობრივი წარმომადგენელები და ექსპერტებიც იმყოფებოდნენ.

საქართველოს მსოფლიო ბანკის მისია სტუმრობს

12 ივლისი

„ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროგრამის" მეშვეობით განხორციელებული ქვემო სამგორის მარჯვენა მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო პროექტის მონიტორინგის მიზნით, საქართველოს მსოფლიო ბანკის მისია სტუმრობს.

ვიზიტის ფარგლებში, "ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროგრამის" ხელმძღვანელი, ვილფრედ ჰანდერტმარკი, მსოფლიო ბანკის ადგილობრივ წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან ერთად, შეხვდა „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურ დირექტორს, არჩილ ბუკიას.

„საქართველოს მელიორაციის“ ოფისში გამართულ შეხვედრაზე მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელებულ სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო პროექტზე და "საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგიის" სამოქმედო გეგმაზე იმსჯელეს.

განიხილეს საქართველოს კანონპროექტი წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ, სახელმწიფოს მხრიდან ფერმერების მხარდაჭერის პროგრამები და წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შექმნისათვის საჭირო ღონისძიებები.

ახმეტის მუნიციპალიტეტში სამელიორაციო სამუშაოები ჩატარდა

29 ივლისი

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში, ზემო ალაზნის მაგისტრალური არხის მიმდებარედ, სადრენაჟო არხს რეაბილიტაცია ჩაუტარდა. 2,5 კმ. სიგრძის მონაკვეთი გაიწმინდა მცენარეებისგან, გაკეთდა ლითონის მილხიდები და მოეწყო საექსპლუატაციო გზა.

გაიჭრა ახალი სადრენაჟო-საკოლექტორო და საირიგაციო დანიშნულების არხი, რაც დამატებით 350 ჰა მიწის ფართობის მორწყვას უზრუნველყოფს. სამუშაოების შედეგად მაგისტრალური არხის ახალმოწყობილი მონაკვეთის ტევადობა და სიღრმე გაიზარდა.

პარალელურად, ზემო ალაზნის მაგისტრალური არხის სხვადასხვა მონაკვეთზე ფილტრაციის საწინააღმდეგო სამუშაოები ჩატარდა, რაც, მომავალში მიწის ფართობების შესაძლო დამეწყვრას გამორიცხავს.

ზემო ალაზნის მაგისტრალურ არხზე სარეაბილიტაციო სამუშაოები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქრთველოს მელიორაციამ“ განახორციელა.

შპს „საქართველოს მელიორაციას" ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

3 აგვისტო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციას" ოთარ შამუგია უხელმძღვანელებს. ახალი გენერალური დირექტორი უწყების თანამშრომლებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა წარუდგინა.



ოთარ შამუგია დღემდე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე იყო. პროფესიით ეკონომისტი წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. ოთარ შამუგია სხვადასხვა დროს საფინანსო საქმიანობით იყო დაკავებული სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში.

ოთარ შამუგიამ შიდა ქართლში სამელიორაციო ობიექტები დაათვალიერა

17 აგვისტო

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, რეგიონალური სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, შიდა ქართლში არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული ობიექტები დაათვალიერა.

ოთარ შამუგია გაეცნო იმ მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებს, რომელსაც შპს „საქართველოს მელიორაცია“ ამჟამად ახორციელებს და გეგმავს მომავალი სარწყავი სეზონისთვის.

რეგიონში ოთხი სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს. მათი დასრულების შემდეგ, გორის მუნიციპალიტეტის 1000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება, ხოლო დამატებით 150 ჰექტარი ფართობი მოირწყვება.

2012 წლიდან დღემდე შიდა ქართლში საქართველოს მელიორაციამ 53 ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა. მოწესრიგდა და გაიწმინდა 5000 კილომეტრამდე არხი და შეკეთდა 1 976 ჰიდროტექნიკური ობიექტი, მათ შორის, 14 სატუმბი სადგური და 7 სათავე ნაგებობა.

აღნიშნული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შედეგად, ადგილობრივებმა 10 787 ჰა მიწის ფართობის მორწყვა შეძლეს, 8 030 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე კი გაუმჯობესდა სარწყავი წყლის მიწოდება.

შპს საქართველოს „მელიორაციის მენერალური" დირექტორის ვიზიტი ქვემო ქართლში

24 აგვისტო

შპს „საქართველოს მელიორაციის" გენერალური დირექტორი ქვემო ქართლში იმყოფებოდა.

ოთარ შამუგია ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში სამელიორაციო სისტემებსა და ინფრასტრუქტურულ ობიექტებს გაეცნო.

რეგიონალური სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, შამუგიამ მომავალი სარწყავი სეზონისთვის მოსამზადებელი სამუშაოები განიხილა. გენერალურმა დირექტორმა და შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა ინფრასტრუქტურული ობიექტების გამართულად მუშაობისთვის საჭირო საკითხებზე იმსჯელეს.

ქვემო ქართლში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის შვიდი სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, რეგიონში 1 200 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოირწყვება, ხოლო 2 931 ჰექტარ მიწის ფართობზე გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება.

ოთარ შამუგია კახეთში არსებულ სამელიორაციო ობიექტებს მაეცნო

6 სექტემბერი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი კახეთში იმყოფებოდა. ოთარ შამუგიამ დედოფლისწყაროს და ახმეტის მუნიციპალიტეტებში არსებული სამელიორაციო სისტემები და ინფრასტრუქტურული ობიექტები დაათვალიერა.

რეგიონალური სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, შამუგია ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდა, სადაც მიწის ფართობების მორწყვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს.

კახეთში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ათი სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, რეგიონში 4 762 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება, დამატებით 2 063 ჰექტარი ფართობი მოირწყვება, ხოლო ჭარბი წყლის მოცილების სამუშაოები 3 000 ჰექტარ მიწის ფართობზე განხორციელდება.

სამცხე-ჯავახეთში სარწყავი სისტემების აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს

15 სექტემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამცხე-ჯავახეთში, ყაურმა-მამწვარას და მამწვარას სარწყავი სისტემების სათავე ნაგებობის და მაგისტრალური არხის რეაბილიტაციას ახორციელებს.

მიმდინარე სამუშაოებს შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ოთარ შამუგია ადგილზე გაეცნო. პროექტის ფარგლებში, ეწყობა წყალაღების ტიპის სათავე ნაგებობები, წყალგამშვები ჭები, მილხიდები; ძველი ამორტიზებული არხი მთლიანად იცვლება და მონტაჟდება მონოლითური ბეტონის არხი.

ყაურმა-მამწვარას და მამწვარას სარწყავი სისტემების კაპიტალური გამართვით, მოირწყვება ნინოწმინდის სამი სოფელი. სოფლების ჯიგრაშენის, ყაურმის და მამწვარას მოსახლეობა სამელიორაციო ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულების შემდეგ 1 315 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს მორწყავს.

აღნიშნული სარწყავი სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს „საქართველოს მელიორაცია“ შემოდგომაზე დაასრულებს.

შპს „საქართველოს მელიორაციის" დირექტორის ვიზიტი სამცხე-ჯავახეთში

20 სექტემბერი

შპს „საქართველოს მელიორაციის" გენერალური დირექტორი ოთარ შამუგია ნინოწმინდის, ახალქალაქისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში იმყოფებოდა, სადაც სამელიორაციო ინფრასტრუქტურული ობიექტები დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

ამჟამად სამცხე-ჯავახეთში ხუთ სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ ობიექტზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამუშაოები ძირითადად სარწყავი სისტემების სათავე ნაგებობების რეაბილიტაციას და მაგისტრალური არხების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენას გულისხმობს.

პროექტების დასრულების შემდეგ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში დამატებით 1 315 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოირწყვება, ხოლო სარწყავი წყლის მიწოდება 1 400 ჰექტარ მიწის ფართობზე გაუმჯობესდება.